მაია ნადარეიშვილი
https://orcid.org/0000-0002-3270-0728
კრიმინოლოგიის აკადემიკოსი (სკმა),
საერთაშორისო ჟურნალისტიკის დოქტორი (თსუ),
ბრამსის ინსტიტუტის დამფუძნებელი დირექტორი

თომას ედისონის კინობიზნესის კონტრასტულობა

საკვანძო სიტყვები: თომას ედისონი, კინემატოგრაფია, ბიზნესი, ცენზურა, სასამართლო, საავტორო უფლებები

აშშ-ში „თანამედროვე კინოს მამად“ ამერიკელი ქიმიკოსი და გამომგონებელი, თომას ედისონი[1] (1847-1931) ითვლება. მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა საფუძვლად დაედო არაერთ სიახლეს კინემატოგრაფის შექმნისა და განვითარების ისტორიაში.[2] მან ასევე გამოიგონა ბგერისა და მუსიკის ჩამწერი აპარატი – ფონოგრაფი (1877). თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ედისონის უნიჭიერესი ახალგაზრდა ასისტენტის, ედისონის იდეათა ხორცშემსხმელის, შოტლანდიელი გამომგონებლის, უილიამ დიქსონის[3] (1860-1935) ჯერაც სათანადოდ დაუფასებელი ღვაწლი: 1888 წელს უშუალოდ დიქსონმა შექმნა კინეტოსკოპი. 1891 წელს ეს აპარატი უილიამმა ოსტატურად დააკავშირა ფონოგრაფთან და მსოფლიო ისტორიაში პირველი „მოლაპარაკე“ ფილმი „დიქსონის მისალმება“[4] გადაიღო ედისონის ლაბორატორიაში. ევროპიდან დაბრუნებულ ედისონს უილიამ დიქსონმა აჩვენა მის მიერ შექმნილი ეს მოკლე ფილმი: ეკრანიდან მან თავი დაუკრა უფროსს და მიესალმა.[5]

BRAMS Journal No. 11 ISSN 2667-9299 (print)
2024 Volume 5, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

თომას ედისონმა, რომელიც ამერიკულმა საზოგადოებამ გამოგონებათა გენიოსად აღიარა, თქვა: „ცხოვრებაში წარუმატებელი ადამიანები ისინი არიან, ვინც ვერ მიხვდა, თუ რა ახლოს იყო წარმატებასთან, როდესაც ცდას თავი დაანება“.[6] სხვების გაკვალულზე წარმატებით სიარული მას საკმაოდ დიდხანს გამოსდიოდა.[7]

1893 წლის 1 თებერვალს ოფიციალურად გაიხსნა თომას ედისონის კინოსტუდია „კინეტოგრაფის წარმოების ცენტრი“.[8] შენობის შავი ფერის გამო, მას ხალხმა ხუმრობით „შავი მარია“ (Black Maria)[9] შეარქვა, პოლიციის საბადრაგო კარეტის ანალოგიით, რომელსაც ვიზუალურად ძალიან წააგავდა. მოგვიანებით მეორე მეტსახელი – „პედის ოთხთვალაც“[10] უწოდეს.

გარე გადაღებისათვის დიქსონმა მაღალი, გრძელი კედელი ააგო, რომლის ფონზეც ცალკეული ეპიზოდი თამაშდებოდა და კინოფირზე აღიბეჭდებოდა. იღებდნენ მოკრივეთა ორთაბრძოლებს, საცირკო ტრიუკებს, სცენებს ვოდევილიდან და სხვ. გადაღებებში მონაწილეობის მისაღებად ცირკისა და ვოდევილის მსახიობებს, სპორტსმენებს, ბალერინებს იწვევდნენ. ასევე იყენებდნენ გაწვრთნილ ცხოველებს. ზოგჯერ ლაბორატორიისა და კინოსტუდიის სანახავად მისულ გამოჩენილ ადამიანებსაც სთავაზობდნენ გადაღებაში მონაწილეობას. თითოეულ ფილმს 20-30 წამიანი ქრონომეტრაჟი ჰქონდა. ფილმის ხანგრძლივობის გაზრდა ვერ ხერხდებოდა, რადგან 14 მეტრზე უფრო გრძელი ფირები საპროექციო აპარატში გავლისას ხშირად წყდებოდა.

1893 წელს თომას ედისონმა კინეტოსკოპი ნიუ-იორკის ერთ-ერთ გამოფენაზე წარადგინა. იქ მას იდეა მიაწოდეს, ისეთი ხელსაწყო გაეკეთებინა, რომელიც

BRAMS Journal No. 11 ISSN 2667-9299 (print)
2024 Volume 5, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

მხოლოდ ერთი მაყურებლისთვის კი არ იქნებოდა განკუთვნილი, არამედ, ბევრისთვის ერთდროულად. მაშინ თომას ედისონმა ამ რჩევას ყურადღება არ მიაქცია, რაც წლების შემდეგ მწარედ ინანა.

1894 წელს ყოველთვიურ ჟურნალ „საუკუნეში“ უილიამ დიქსონმა და მისმა დამ, ანტონიამ ერთობლივი სტატია[11] გამოაქვეყნეს კინეტოსკოპის შესახებ, რომელსაც თომას ედისონის შესავალი ერთვოდა. გამომგონებელი ვარაუდს გამოთქვამდა, რომ კინეტოსკოპის დახმარებით, ახლო მომავალში მაყურებელს აღარ დასჭირდებოდა თეატრში წასვლა საოპერო სპექტაკლის სანახავად, რადგან პირდაპირ საკუთარ სახლში შეძლებდა წარმოდგენის ყურებას. უილიამ დიქსონის მიერ 1895 წელს გამოცემულ წიგნსაც „კინემატოგრაფის, კინეტოსკოპისა და კინეტოფონის ისტორია“[12] ედისონის წინასიტყვაობა ახლდა.

ედისონის კომპანიის ყველაზე პოპულარული ფილმი „ფრედ ოტის დაცემინება“[13] უილიამ დიქსონმა 1894 წელს გადაიღო. ედისონის ლაბორატორიის მექანიკოსი ფრედ ოტი ენაკვიმატი კაცი იყო. ამ ნამუშევარმა პირველი საავტორო უფლება მოიპოვა, ოტი კი კიდევ რამდენიმე ფილმში გადაიღეს.

1894 წელს შექმნილი ფილმებიდან აღსანიშნავია:

- „ბუფალო ბილი“[14]
- „კარმენსიტა“[15]
- „ენი ოუკლი“[16]
- „ანაბელის პეპლის ცეკვა“[17]
- „ანაბელის მზის ცეკვა“[18]
- „სიუს ტომის მოჩვენებების ცეკვა“[19]
- „კულტურისტი იუჯინ სენდოუ“[20]
- „საპარიკმახერო“.[21]

BRAMS Journal No. 11 ISSN 2667-9299 (print)
2024 Volume 5, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ყველა ამ ფილმის პროდიუსერი, რეჟისორი და ოპერატორი უილიამ დიქსონი იყო. ზოგჯერ მას უილიამ ჰაისი (1847-1910) ეხმარებოდა, რომლის რეჟისორული ნამუშევარია 1896 წელს გადაღებული სახელგანთქმული ფილმი „(ქვრივი ჯონსის) კოცნა“[22] მეი ირვინისა (1862-1938) და ჯონ რაისის (1857-1915) მონაწილეობით.

დიქსონი და ჰაისი მხატვრულ კინოსურათებსაც ქმნიდნენ და დოკუმენტურ ფილმებსაც იღებდნენ. კინოსტუდიაში „შავი მარია“ სამუშაოდ ხშირად იწვევდნენ ახალ-ახალ მსახიობებს. 1895 წელს გადაღებული დიქსონ-ჰაისის ერთობლივი ნამუშევარი „სერპანტინის ცეკვა“,[23] რომელშიც მსახიობი ანაბელ მორი (1878-1961) თამაშობდა, ამერიკის ხელისუფლებამ დროებით აკრძალა, ვინაიდან კადრში მსახიობის საცვლები ჩანდა. ეს იყო კინოცენზურის პირველი ფაქტი.

კინეტოსკოპით შექმნილი ექსპერიმენტული ფილმების პოპულარობამ უფრო მეტი და თემატურად გაცილებით მრავალფეროვანი ფილმების გადაღების მოთხოვნილება წარმოშვა. ამიტომ შეიქმნა ახალი, პორტატული კამერა, რომლითაც 1896 წელს ნიუ-იორკში გადაიღეს ეპიზოდები ყოველდღიური ცხოვრებიდან. თანამედროვე მაყურებელზე მათი ნახვა განსაკუთრებულ ეფექტს ვერ მოახდენს, მაგრამ XIX საუკუნის მიწურულს ეს მოკლე ფილმები საკმაო პოპულარობით სარგებლობდა ამერიკულ საზოგადოებაში. თანდათან სანახაობას ახალ-ახალი პეიზაჟები დაემატა, მაგალითად, ნიაგარას ჩანჩქერი, მატარებელი „შავი ალმასის ექსპრესი“ (1896 წლის დეკემბერში). 1897 წლის იანვარში გადაიღეს პრეზიდენტ მაკ-კინლის ინაუგურაცია.[24]

ედისონის კომპანიის მიერ გადაღებული ფილმები 10-15 დოლარი ღირდა. მათ კინეტოსკოპის მფლობელები

ყიდულობდნენ საკუთარ სახლებსა თუ დარბაზებში საყურებლად. მზარდი პოპულარობა სულ რამდენიმე წელიწადში მინელდა, რაც სამმა მთავარმა პრობლემამ გამოიწვია.

ედისონის კომპანიის გენერალურმა მენეჯერმა, უილიამ გილმორმა მაქსიმალურად მიჩქმალა უილიამ დიქსონის სახელი და ედისონ-დიქსონის ერთობლივ გამოგონებებზე მხოლოდ თომას ედისონს გაუფორმა საავტორო უფლებები. სწორედ გიბსონთან უსიამოვნების გამო, 1895 წლის მეორე ნახევარში უილიამ დიქსონი ედისონის კომპანიიდან წავიდა. ამ უნიკალურმა ადამიანმა ისეთი ამოუვსებელი შემოქმედებითი სიცარიელე დატოვა კომპანიაში, ისე დააკლდა მისი ნიჭი და თავდადებული შრომა კინოპროდუქციას, რომ თომას ედისონმა ეს დანაკლისი ვეღარასოდეს აინაზღაურა.

ამას გარდა, თომას ედისონს თავიდან არ ეგონა, რომ კინეტოსკოპი ოდესმე განსაკუთრებულ პოპულარობას მოიპოვებდა. ამიტომ 1890-იან წლების დასაწყისში აშშ-ის გარდა სხვაგან არსად დააპატენტა ეს გამოგონება, რადგან ფული დაენანა. კინეტოსკოპის ასლები მთელ ევროპას მოედო მოდიფიცირებული და გაუმჯობესებული სახით. ამიტომ უშუალოდ ედისონის აპარატისადმი ინტერესი თანდათანობით შემცირდა.

დაბოლოს, ედისონი ძალიან გვიან მიხვდა, უდიდესი შეცდომა რომ დაუშვა როცა თავის დროზე არ იზრუნა საპროექციო სისტემის განვითარებაზე მრავალრიცხოვანი მაყურებლისთვის. თომას ედისონზე მისი თანამედროვეები ხუმრობდნენ: კინო ყუთში ჩაკეტაო.

დიქსონის ნაცვლად შტატში აყვანილმა ალფრედ კლარკმა 1895 წელს ისტორიულ თემაზე ორი ფილმი

BRAMS Journal No. 11 ISSN 2667-9299 (print)
2024 Volume 5, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

გადაიღო: „ჟანა დ'არკი" და „მარია სტიუარტის სიკვდილით დასჯა",[25] რომელშიც შოტლანდიის დედოფლის როლი მამაკაცმა შეასრულა. ამას გარდა, მარია სტიუარტზე გადაღებულ ფილმში პირველად გამოიყენეს სტოპ-კადრი: როდესაც ჯალათმა მარიას თავი კუნძზე დაადებინა, კამერა დროებით გამორთეს, მსახიობი ფიტულით შეცვალეს და შემდეგ გადაღება გააგრძელეს – ჯალათმა ფიტულს თავი მოაჭრა. ამ კადრის ნახვამ მაყურებელზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

კინეტოსკოპის ასლები მთელ ევროპას სოკოებივით მოედო, თანაც მოდიფიცირებული და გაუმჯობესებული სახით. ამიტომ უშუალოდ ედისონის აპარატისადმი ინტერესი თანდათანობით შემცირდა. ამერიკელმა ორჯერ მისწერა წერილი ფრანგ ძმებ ლუმიერებს და სთხოვა, სინემატოგრაფი მიეყიდათ, მაგრამ ორივეჯერ ცივი უარი მიიღო.

ამერიკელმა გამომგონებელმა ფარ-ხმალი იოლად არ დაყარა. თავისი კინოკომპანიის სრული რეორგანიზაცია მოახდინა: კინემატოგრაფის განყოფილების ხელმძღვანელად ჯეიმს უაიტი დანიშნა და საკუთარ ბიზნესში თავისი თანამშრომლების ცოლებიც ჩართო. ქალები ხელით აფერადებდნენ კინოსურათებს. როდესაც ედისონის კომპანიის ახალმა აპარატმა – კინეტოფონმა არ გაამართლა ხმისა და გამოსახულების ასინქრონულობის გამო, ედისონმა თომას არმატისა (1866-1948) და ჩარლზ ფრენსის ჯენკინსის (1867-1934) ფანტოსკოპზე[26] (phantoscope) საავტორო უფლებები იყიდა. შემდეგ სახელი გადაარქვა, „ედისონის ვიტასკოპი"[27] უწოდა და საკუთარ გამოგონებად გაასაღა.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

1896 წლის 23 აპრილს ნიუ-იორკში კოსტერისა და ბიალის მიუზიკ-ჰოლში არსებულ ვოდევილის თეატრში ჩატარდა ვიტასკოპის ანუ „სიცოცხლის ბორბლის“ პირველი საჯარო დემონსტრირება.[28] ამ სეანსზე 12 ფილმი აჩვენა ედისონმა: ნაწილი მის სტუდიაში იყო გადაღებული კინეტოსკოპისათვის, ხოლო ნაწილი ფრანგების – ძმები ლუმიერებისა და ინგლისელების – ბერტ ეიქრზისა (1854-1918) და რობერტ პოლის (1869-1943) ნამუშევრების არალეგალური ასლები იყო. კინოჩვენება დაასრულა გაფერადებულმა ფილმმა „ანაბელის პეპლის ცეკვა“,[29] რომელმაც დიდი ოვაცია დაიმსახურა. თომას ედისონი კინოს ფუძემდებლად აღიარეს, ვიტასკოპს კი „ედისონის ბოლო სასწაული“ უწოდეს. აშშ-ში არავის აინტერესებდა ის ფაქტი, რომ ვიტასკოპი გაცილებით ჩამოუვარდებოდა ლუმიერების სინემატოგრაფს ტექნიკური მონაცემებით და თან, საპროექციო განათებასთან დაკავშირებული პრობლემებიც ჰქონდა. იმავე წლის ივნისში ახალ ორლეანში (ლუიზიანას შტატი) 400 მაყურებელზე გათვლილი კინოთეატრი „ვიტასკოპ-ჰოლი“ გაიხსნა, სადაც მხოლოდ თომას ედისონის ფილმებს აჩვენებდნენ.

ევროპელი კონკურენტების გარდა, ედისონს მალე თანამემამულეებიც დაემატნენ: კინობიზნესით დაკავებული სხვა ამერიკელები კინეტოსკოპისა და კინეტოგრაფის იმიტაციებს აკეთებდნენ. საქმემ იმდენად სერიოზული სახე მიიღო, რომ ედისონმა კანონის ძალით გადაწყვიტა საკუთარი უფლებების დაცვა. 1897 წლის 31 აგვისტოს მან თავისი ძველი საპატენტო განცხადება ხელმეორედ დაამოწმა პატენტების განყოფილებაში. შემდეგ სასამართლოში იჩივლა, როგორც „მოძრავი

BRAMS Journal No. 11 ISSN 2667-9299 (print)
2024 Volume 5, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

სურათების“ გადამღებმა და საჩვენებელი აპარატების გამომგონებელმა და მისი გამოგონებით მოსარგებლე ყველა პირისგან ფულის გადახდა მოითხოვა. ასე დაიწყო საპატენტო ომის[30] სახელით ცნობილი ათწლიანი სასამართლო დავა.

თომას ედისონი მხოლოდ ხელისუფლების მესამე შტოს იმედად არ გაჩერებულა. მან კერძო დეტექტივები დაიქირავა, რომლებიც პოულობდნენ იმ საქმოსნებს, ვინც საპატენტო გადასახადს არ უხდიდა ედისონს. ამ ადამიანებს აპარატურას უნადგურებდნენ, კინოფირებს უწვავდნენ და ფიზიკურადაც უსწორდებოდნენ. კონკურენტების წინააღმდეგ ბრძოლის ასეთი სასტიკი მეთოდების მიუხედავად, ედისონისთვის ფულის გადახდას არავინ აპირებდა. ერთადერთი წარმატება ის იყო, რომ ედისონმა ლუმიერების წარმომადგენლების აშშ-დან გაძევება მოახერხა. ამერიკული მცირე კინოკომპანიების უმეტესობა, უბრალოდ, არალეგალურ საქმიანობას ეწეოდა და თომას ედისონი ვერაფერს აკლებდა მათ მზარდ რაოდენობას.

1897 წელს ედისონმა უარი თქვა ვიტასკოპის გამოყენებაზე და ახალი საპროექციო აპარატი – პროჯექტორკოლი შექმნა, რომელიც წინამორბედს ბევრად სჯობდა. XX საუკუნის დასაწყისიდან ედისონის კინოკომპანია პოპულარული უცხოური კინოსურათების რიმეიქების შექმნით იყო ძირითადად დაკავებული. ფილმებიდან უმნიშვნელო მოგება ჰქონდა და ფინანსური წარმატება მხოლოდ პროექტორებისა და სხვა კინომასალის გაყიდვას მოჰქონდა მისთვის. ედისონმა ვერ შეძლო კინოინდუსტრიის მონოპოლიზება, რადგან მხოლოდ მას არ აღმოაჩნდა საქმოსნის ალღო და სინდისის ძაფი გაწყვეტილი. სამართლებრივად რომ

BRAMS Journal No. 11 ISSN 2667-9299 (print)
2024 Volume 5, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ვთქვათ, საავტორო უფლებების დარღვევაზე კინოს სხვა ამერიკელი მწარმოებლებიც არ ამბობდნენ უარს. მათ მალე იპოვეს გამოსავალი, ედისონის დევნისგან თავის დასაღწევად. როდესაც რომელიმე კინოკომპანია ფილმის გადაღებას აპირებდა, მისი ოფისიდან ჯერ სულ სხვა მიმართულებით გადიოდა დეკორაციების ჯგუფი, რომელიც დაქირავებულ დეტექტივებს გაიტყუებდა, ხოლო ძირითადი კოლექტივი ამის შემდეგ გადიოდა გადასაღებ მოედანზე და მშვიდად მუშაობდა. ამ ხერხით, წარმატებით ატყუებდნენ მის მიერ დაქირავებულ დეტექტივებს.

ხანგრძლივი კინოომის პერიოდში ერთადერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1909 წელს თომას ედისონის მიერ პერიოდული გამოცემის, ჟურნალ „კინეტოგრაფის“[31] დაარსება, სადაც იბეჭდებოდა სტატიები მისი კინოკომპანიის მიღწევებზე, კინოტექნიკის სიახლეებსა და წარმოებაში გაშვებულ ფილმებზე. 1910 წლის მარტის ნომერში ამ ჟურნალის ყდა დაამშვენა ფოტომ ახალგადაღებული ფილმიდან „ფრანკენშტაინი“ (1910),[32] ხოლო უშუალოდ ნომერში ფილმის ორგვერდიანი ანოტაცია დაიბეჭდა. რეჟისორი იყო ჯეიმს შირლი დოლი, ხოლო მთავარ როლს ასრულებდა ჩარლზ ოგლი.

1915 წელს აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელსაც მოსამართლე ოლივერ ბუთ დიკინსონი[33] (1857-1939) თავმჯდომარეობდა, თომას ედისონის კინოკომპანიას მონოპოლისტური საქმიანობა[34] აეკრძალა კინოწარმოებაში, გაქირავებასა და დისტრიბუციაში.[35] ედისონი საჯაროდ გამოხატავდა თავის აღშფოთებას: ქურდებმა კინოს საიდუმლოება მომპარეს, ხელისუფლებამ კი არ დამიცვაო. სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას

BRAMS Journal No. 11 ISSN 2667-9299 (print)
2024 Volume 5, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

სასურველი შედეგი არ მოუტანია ედისონისთვის. ამიტომ, მან კინემატოგრაფში ჩადებული ყველა ინვესტიცია დაიბრუნა და ამ ბიზნესს სამუდამოდ შეეშვა. 1918 წელს ეკრანებზე გამოვიდა ედისონის კინოკომპანიის უკანასკნელი ნამუშევარი „ურწმუნო“[36] (რეჟისორი – ალან ქროსლენდი). იმავე წლის თებერვალში კინოსტუდიამ ფუნქციონირება შეწყვიტა, ხოლო მარტში იგი „ლინკოლნისა და პარკერის კინოკომპანიამ“ შეიძინა.[37]

ლიტერატურა ▫ References

1. Dyer, Frank Lewis, and Thomas Commerford Martin (1910). *Edison: His life and inventions* (Produced by C. Keller & D. Widger). Project Gutenberg [http://public-library.uk/ebooks/31/79.pdf]
2. Marcus, Laura (2007). *The Tenth Muse: Writing About Cinema in the Modernist Period*. Oxford: Oxford University Press (online ed., Oxford Academic, 31 October 2023) [https://doi.org/10.1093/oso/9780199230273.001.0001]
3. Spehr, Paul (2008). *The Man Who Made Movies: W.K.L. Dickson*. Indiana University Press. [https://doi.org/10.2307/j.ctt20060gj]
4. *Overview of the Edison Motion Pictures by Genres*, Library of Congress [https://www.loc.gov/collections/edison-company-motion-pictures-and-sound-recordings/articles-and-essays/history-of-edison-motion-pictures/overview-of-the-edison-motion-pictures-by-genre/]
5. Library of Congress (2009, March 26). Dickson greeting (1891) [Video]. YouTube [https://www.youtube.com/watch?v=S5TrvT97Jpg]
6. Edison, Thomas A. (2016, February 10). Many of life's failures are people who did not realize how close they were to success when they gave up. *Due* [due.com]
7. *The Gifted Men Who Worked for Edison* (2015, February 26), National Park Service [nps.gov]
8. Dickson, W. K. L. (1933). A brief history of the kinetograph, the kinetoscope and the kinetophonograph. *SMPTE Journal*, 21, December.
9. XIX საუკუნის შუა ხანებში ქალაქ ბოსტონში (მასაჩუსეტსის შტატი) აფროამერიკელი ქალი, მარია ლი ცხოვრობდა, რომელსაც

მეზღვაურთათვის განკუთვნილი ფუნდუკი ჰქონდა. ამბობენ, რომ მარია მოსული, განსაკუთრებული ფიზიკური ღონის პატრონი იყო და ხშირად ეხმარებოდა პოლიციას კანონის დამრღვევი მთვრალი კაცების დაჭერაში. როდესაც პოლიციის საბადრაგო კარეტების გამოყენება დაიწყეს, მარია ლის სახელის უკვდავსაყოფად, მათ „შავი მარია“ უწოდეს. იხ.: Kaphangst, Frederick D. “Fred”, Edward J. “Ed” Steenberg, *The Black Maria*, Saint Paul Police Historical Society. Retrieved 3 April 2021.

10. პედის ოთხთვალა, საპატრულო მანქანა (ინგლ. paddy wagon) – A derogatory, racist name for a police van, used mainly in the US. One theory holds that “paddy wagon” is simply a short form for patrol wagon, in the same way police cars are called patrol cars today. In: Rivero, Daniel (2016, March 16), *A complete history of the phrase ‘paddy wagon’, the surviving Irish-American Slur*, Splinter.
11. *The Century Illustrated Monthly Magazine* (1894). Volume 48: May 1894 - October 1894. HathiTrust [https://babel.hathitrust.org/cgi/pt?id=mdp.39076000391040&seq=1]
12. Dickson, William Kennedy, and Antonia Dickson (1895). *History of the Kinetograph, Kinetoscope and Kineto-Phonograph*. New York, NY: Museum of Modern Art.
13. Library of Congress (2009, March 26). *Edison Kinetoscopic recording of a sneeze* (1894, January 7). Edison Studios [Video]. YouTube. [https://www.youtube.com/watch?v=2wnOpDWSbyw]
14. This is Silent Film (2022, August 3). *Buffalo Bill* (1894). Directed by William K.L. Dickson, Edison Studios [Video]. YouTube. [https://www.youtube.com/watch?v=M4wYhwUbQ2M]
15. What Is Old Is New Again (2021, December 4). *Carmencita* (1894). Directed by Thomas Edison and William K.L. Dickson, Edison Studios [Video]. YouTube. [https://www.youtube.com/watch?v=ovJvC7FLxBY]
16. Cinema in Public Domain (2022, December 8). *Annie Oakley* (1894). Directed by William K.L. Dickson, Edison Studios [Video]. YouTube. [https://www.youtube.com/watch?v=ePFkftEQPew]
17. Cinema in Public Domain (2024, May 2). *Annabelle Butterfly Dance* (1894). Directed by William Kennedy Laurie Dickson, Edison Studios. [Video]. YouTube. [https://www.youtube.com/watch?v=ZRQwQgLqVOU]
18. This is Silent Film (2022, August 2). *Annabelle Sun Dance* (1894). Directed by William K.L. Dickson, Edison Studios [Video]. YouTube. [https://www.youtube.com/watch?v=vmu4UGdg_h0]

19. Cinema in Public Domain (2022, December 19). *Sioux Ghost Dance* (1894). Directed by William K.L. Dickson and William Heise, Edison Studios [Video]. YouTube. [https://www.youtube.com/watch?v=hRbXGyjjH08]
20. This is Silent Film (2022, August 3). *Sandow the Strongman* (1894). Directed by William K.L. Dickson, Edison Studios [Video]. YouTube. [https://www.youtube.com/watch?v=CgoK8K2qoag]
21. This is Silent Film (2022, August 3). *The Barbershop* (1894). Directed by William K.L. Dickson, Edison Studios [Video]. YouTube. [https://www.youtube.com/watch?v=XSzK-1oWLZk]
22. Cinema in Public Domain (2023, February 12). The Kiss of the Widow Jones (1896). Directed by William Heise, Edison Studios [Video]. YouTube. [https://www.youtube.com/watch?v=GPJMQ6RNl5g]
23. Cinema in Public Domain (2023, January 28). *Annabelle Serpentine Dance* (1895). Directed by William K.L. Dickson and William Heise, Edison Studios [Video]. YouTube. [https://www.youtube.com/watch?v=3hqzv6gTyjI]
24. Life in the 1800s (2022, November 11). *President William McKinley Inauguration in Colour* (1901, March 4). Edison Studios [Video]. YouTube. [https://www.youtube.com/watch?v=RiO23X_CVh4]
25. Cinema in Public Domain (2023, January 19). *Execution of Mary Stuart, Queen of Scots* (1895). Directed by Alfred Clar, Edison Studios [Video]. YouTube. [https://www.youtube.com/watch?v=Ieuw9shi0_M]
26. Popple, Simon, and Joe Kember (2004) *Early Cinema: From Factory Gate to Dream Factory*. London: Wallflower Press.
27. Britannica Editors (2023, April 28). Vitascope. *Encyclopedia Britannica*. [https://www.britannica.com/technology/Vitascope]
28. Liulevicius, Vejas Gabriel (2020, October 12), *Contributions of Thomas Edison and Others to Motion Pictures*, The Great Courses Daily.
29. Everything has its first time (2017, December 10). *The First Hand-Tinted Movie – Annabelle performing the "Butterfly Dance"* (1895). Directed by William K.L. Dickson, Edison Studios [Video]. YouTube. [https://www.youtube.com/watch?v=YostqK_hFkE]
30. Egbe, Amanda (2020, March 19). *Between Copyright and Creativity: Edison's Kinetoscope and Technological Innovations in Optical Printing*, pp. 104-121. In: Gabriel Menotti, and Virginia Crisp (eds) (2020). *Practices of Projection: Histories and Technologies*. New York (online edn, Oxford Academic, 2020, March 19).

31. Slonaker, Nadia (2024, April 2). The kinetograph: The impact of cinematography. Retrieved from [https://opentextbooks.clemson.edu/sciencetechnologyandsociety/chapter/the-revolution-of-cinematography/]
32. Dawley, J. Searle (Director) (1910). *Frankenstein* [Film]. Edison Manufacturing Company.
33. Dickinson, Oliver Booth. Federal judicial center. Retrieved from [https://www.fjc.gov/node/1380031]
34. Aberdeen, J. A. (2005). *The Edison movie monopoly: The Motion Picture Patents Company vs. the Independent outlaws*. Hollywood Renegades Archive. Retrieved from [https://www.cobbles.com/simpp_archive/edison_trust.htm]
35. United States v. Motion Picture Patents Co., 225 F. 800 (E.D. Pa. 1915). In: Supreme Court of the United States. *U.S. Reports: Supreme Court of the United States, 239 U.S. ii*. 1915. Periodical. Retrieved from the Library of Congress [https://www.loc.gov/item/usrep239supremecourt/]
36. Crosland, Alan (Director) (1918). *The unbeliever* [Film]. Edison Company & Perfection Pictures.
37. ლინკოლნისა და პარკერის კინოკომპანია (Lincoln and Parker Film Company) – დაარსდა ქ. ვუსტერში (მასაჩუსეტსის შტატი). მისი ნიუ-იორკის სტუდია მდებარეობდა ბრონქსში (ნიუ-იორკის შტატი). მან ძალიან მცირე ხანს იარსება. ამ კომპანიამ აქტივები და ფილმები შეიძლინა თომას ედისონის კინოკომპანიისგან იმ დროს, როდესაც ედისონის კინოწარმოებსი ბიზნესი კრიზისში იყო. ასევე, გარიგებაში შედიოდა ნიუ-ჯერსის შტატში მდებარე „ედისონ პოზიტივის“ ქარხნის ტექნიკური მოწყობილობები და 1 მლნ ფუტი სიგრძის ნეგატივები. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ედისონის ვაჟი, ჩარლზ ედისონი „ლინკოლნისა და პარკერის კინოკომპანიის“ დირექტორთა საბჭოს წევრი უნდა ყოფილიყო, ხოლო თავად თომას ედისონს რეჟისორ-კონსულტანტის თანამდებობას უნდა დაეკავებინა. იხ.: Slide, Anthony (2014). *The new historical dictionary of the American film industry*. Taylor & Francis.

Maia Nadare
https://orcid.org/0000-0002-3270-0728
PhD in Philology (International Journalism),
Founder and Director of BRAMS Institute,
Academician of Criminology at GACS

CONTRASTS OF THOMAS EDISON'S MOVIE BUSINESS

KEYWORDS: Thomas Edison, cinematography, business, copyright

The American chemist and inventor Thomas Alva Edison (1847-1931) is considered the "Father of Modern Cinema" in the United States. His versatile activity became the basis for many innovations in the history of cinematography. However, the contribution of Edison's talented young assistant, the Scottish inventor William Kennedy-Laurie Dickson (1860-1935), remains underestimated: In 1888, Dixon was the one who created the kinetoscope. In 1891, William skillfully connected this device to the phonograph and assembled the first 'talking' film, "Dixon Greeting" in Edison's laboratory.

Thomas Edison was driven only by the desire for financial gain as efficiently as possible. He could never grasp the soul of cinematography. He used the achievements of his European colleagues without back thoughts, while his fellow citizens treated him equally ruthlessly: In legal terms, Thomas Edison's copyright was infringed by other American movie producers. In 1915, the US Supreme Court ruled that Thomas Edison's motion picture company was prohibited from monopolizing film production, rental, and distribution. The appeal did not bring a change in the situation. Therefore, Thomas Edison left the movie business for good as he sold his film laboratory in March 1918.

BRAMS Journal No. 11 ISSN 2667-9299 (print)
2024 Volume 5, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)